№ 144 წელიწადი I. შაბათი 1 აგვისტო 1915 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., ოთხ თვით 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაურიანი. **ტეგბით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 შან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **წ.-კ. გამავრც. საზოგადოება.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 2 აგვისტოს, საკათედრო ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებული მგოსნის

ვაჟა-ფშაველას (ლუკა რაზიკაშვილის)

სულის მოსახსენებლად

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **საისტორიო და სიეთნოგრაფიო საზოგადოება.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთ. საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე.

გარდაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **გაზ. „სამშობლოს“ რედაქცია** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **ქუთ საურთიერთო ნდობის ბანკი.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთ. საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე.

დედა ირინე; მეუღლე ელისაბედ; შვილები: გრიშა, ნინუცა და ანეტა; ძმები: ერმილე, ილარიონი, პორფილე, ოდე და მიხაკო; რძლები: მაკრინე, ევა, მანია, ოლია და მარიამ; ძმის-შვილები: მაშო, ცაბერა, ნინო, ქეთო, თამარა და დოიკო ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 28 ივლისს, საღამოს ხუთ საათზე, ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფ. დიმში, ძვირფასი და დაუვიწყარი

სილიგისტრო მერაგის ძე მაღლაკელიძე.

პანაშვიდები ყოველდღე დილის 11 საათსა და საღამოს 5 საათზე. გამოსვენება მოხდება კვირას, 2 მარიობისთვეს. საკუთარი სახლიდან, სოფ. დიმის მთავარანგელოზის ეკლესიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. 3—2—547

მღვდელი კოსტანტინე, ბარბარე ტარიელის ასული, ნიკოლოზ იოანეს ძე, მარიამ და ვასილი იოანეს ასულნი ქუთათელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი საყვარლის ასულისა, მეორე შვილისშვილისა და უკანასკნელნი ძმისწულის

ბაბუცი კოსტანტინეს ასულის ქუთათელაძისას,

რომლის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 1 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე. ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან ხონის მაცხოვრის ეკლესესიაზე. 1—1

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **ქუთ. ქალთა საზოგადოება.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე.

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **ჯიათურის შავი ქვის საბჭო.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 9 საათზე.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე პატივის ცემით აცნობებს საზოგადოებას, რომ კვირას, 2-ს მარიამობის თვეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარშიდ, ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისაგან, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, ახლად გარდაცვალებულის მგოსნის

ვაჟა-ფშაველას.

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე.

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **ვეჟილთა საზოგადოება** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **ქართული გიმნაზია.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას. 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე.

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **მდაბიო მოქალაქეთა გამგეობა.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთ. საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე.

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **სახალხო უნივერსიტეტი.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს დილის 12 საათზე.

ქუთაისის გაზ. „სამშობლოს“ ასოთ აშწყობები უზომო მწუხარებას გამოსთქვამენ დადებული მგოსნის—მთის არწივის

ვაჟა-ფშაველას **გარდაცვალების გამო.**

გადაიცვალა მგოსანი **ვაჟა-ფშაველა**, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას **დრამატიული საზ. გამგეობა.** პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისის საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათზე

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ზედამხედველი კომიტეტი და მოსამსახურენი აცხადებენ, რომ გარდაცვალებულ მგოსნის

ვაჟა-ფშაველას

სულის მოსახსენებლათ კვირას, 2 აგვისტოს, დილის 12 საათ. სიკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი, რისთვისაც სთხოვენ გარდაცვალებულ მგოსნის პატივისმცემელთ დაესწრონ ხსენებულ პანაშვიდს.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო.

დამკრძალავ კომიტეტის თათბირი. 30 ივლისს, დილის 12 საათზე, თათბირი ჰქონდა დამკრძალავ კომიტეტს. კრება გახსნა გიორგი ლასხიშვილმა, მან მოახსენა კრებას ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების დადგენილება, რომელიც 28 ივლისის კრებამ გამოიტანა. ხსენებულ პირველ კრებაზე არჩეულმა ბიურომ დეპეშით სახოვა თიანეთის მაზრის უფროსს და მომრიგებელ შუამავალს, საგანგებო კაცი გაეგზავნათ სოფ. ჩარგალს განსვენებული პოეტის სახლობისათვის სამწუხარო ცნობის მისატანად და აგრეთვე შესატყობინებლად იმისა, რომ რადგან პოეტის გვამი თბილისში უნდა დასაფლავდეს, სახლობის წევრთა სამგზავრო ხარჯს საზოგადოება კისრულობსო. ამის შემდეგ ბ-ნმა ლასხიშვილმა წინადადება მისცა კრებას, თავმჯდომარე აირჩიეთო. თავმჯდომარეთ კრებისა ისევ გ. ლასხიშვილი აირჩიეს.

კრებამ კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩია გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად— გ. ლასხიშვილი, მდივნად რ. ბებიაშვილი და მოლარედ იოსებ ლორთქიფანიძე.

კრებამ დაადგინა, რომ პოეტის გვამი დასაფლავდეს დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქართველ მოღვაწეთათვის შეძენილ პანთეონში.

კრებას მოხსენდა, რომ ბიურომ 34 დაწესებულებას დაუგზავნა წერილები მგოსნის დაკრძალვაში მონაწილეობის მიღების შესახებ და, მაშასადამე, დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ნავარაუდევ 1,500 მანეთზე მეტი შემოვიო. ჯერ-ჯეროობით აღნიშნულ საგნისათვის გადაუდვიათ: ქ. შ. წ.—კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 300 მან., ქართველ ქალთა საზოგადოებას 50 მან., ქართველ გიმნაზიის გამგე კომიტეტს 100 მან., „განათლების“ საზოგადოებას 30 მანეთი, დრამატიულ საზოგადოებას 50 მან., „სახ.

ფურცლის“ რედაქციას 100 მან. და ხარფუხის კლუბს 50 მან. შემდეგ ამისა კომიტეტმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) გვირგვინებით შემკობა პოეტის კუბოსი საჭირო არ არის; გვირგვინების საფასური, ვისაც სურს, ფულად შემოიტანოს, რომელსაც შემდეგ მიეცემა დანიშნულება. მხოლოდ ერთი გვირგვინი უნდა იყვეს დაკრძალვის დღეს მთელი ქართველი ერის სახელით. ამ გვირგვინზე იქნება წარწერილი: „ვაჟა-ფშაველას ქართველ ერისაგან“. გვირგვინში, რომელსაც ცხედრის გასვენების დროს ხელით წაიღებენ ქართველი მგოსნები, უნდა იყვეს ჩანგი. 2) რათა დაკრალვამ ზეიმის ელფერი არ დაჰკარგოს, კუბო ყვავილებით იქნება მორთულ-მოკაზმული, აგრეთვე ქუჩები, რომლითაც პროცესია გაივლის ცოცხალი ყვავილებით და მწვანე შტო ბალახებით უნდა მოიფინოს. ყველა დამსწრეს შეუძლიან დაკრძალვის დღეს თან მოიტანოს ცოცხალი ყვავილები და ხის მწვანე ფოთლები ზემო აღნიშნულ აზრით. 3) ბალდახინი მორთულ უნდა იყვეს ცოცხალი ყვავილებით და მწვანე ტოტებით. 4) კომიტეტის დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნა აღმასრულებელი ბიურო, რომელშიაც წევრებად შევიდნენ: ვალ. გუნია, პავლე საყვარელიძე, ნ. დ. ერისთავი, ნინო ნაკაშიძე, სოფ. მგალობლიშვილი და იოსებ ლორთქიფანიძე (მოლარე) ამ ბიუროში უნდა შევიდნენ წევრებად სტუდენტთა მხრივ ერთი და მუშების მხრივ ერთი. ამრიგად, ბიურო შესდგება 8 კაცისაგან. ბიუროს წევრები თავიანთ შორის აირჩევენ ერთ კაცს თავმჯდომარედ. 5) თანახმად მისი სურვილისა, სოფ. ჩარგალს ეხლავე გაიგზავნოს მგოსნის უფროსი ვაჟი, რომელიც თბილისში ჩამოიყვანს თავისს დედას და და-ძმათ და ამისათვის მიეცეს მას საკმაო გზის ხარჯი. 6) დაწესებულებანი და კერძო პირებმა, რომელნიც მოისურვებენ თავიანთი წვლილის მოწოდებას დასაკრძალავ ხარჯების დასაფარავად, ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, Бѣлинская ул., Дворянское детутатское собраніе. Кн. Димитрію Эрастовичу Челокаеву (ანუ) Іосифу Бежаноничу Лордкипанидзе.

შემდეგი კრება ექმნება კომიტეტს დღეს, საღამოს 8 საათზე, თავადაზნაურთა საკრებულოში, ბელინსკის ქუჩაზე. ——

ვაჟას ძმა თედო და უფროსი ვაჟი უკვე ჩამოვიდნენ თბილისში.

——

საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. საბჭომ დაადგინა 30 ივლისს: 1) 100 მანეთი გადაიდვას მგოსნის დასაკრძალავად, 2) ნაცვლად გვირგვინისა 50 მან. გადაიდვას სალიტერატურო ფონდის სარგებლოდ, 3) საზოგადოების მხრივ დამკრძალავ კომიტეტში გაიგზავნოს საბჭოს წევრი დ. დ. კილოსანიძე და 4) პანაშვიდებს და დაკრძალვას დაესწროს საბჭო მთელი შემადგენლობით.

——

პანაშვიდი. 29 ივლისს, საღამოს 7 საათზე, დიდებული მგოსნის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა ქვაშვეთის ტაძარში გორის ეპისკოპოზმა ანტონმა, არქიმანდრიტ პიროსისა, ოქონის ეკლესიის მღვდლის დავით კავკასიძისა, დუშეთის ეკლესიისა კონსტანტინე კავკასიძისა და ადგილობრივ სამღვდელოების თანამსახურებით. ჰგალობდა ფილარმონიულ საზოგადოების მგალობელთა გუნდი. ხალხით გაჭედილი იყო ეკლესია და ეკლესიის გალავანი. მღვდელმა კონსტანტინე კავკასიძემ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ცალკე იბეჭდება ჩვენს გაზეთში. ——

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას 29 ივლისს, საღამოს, საგანგებო კრება ჰქონდა, დ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ პირველად ფეხზე ადგომით პატივი სცა დიდებულ პოეტის ხსოვნას. გამგეობამ შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა: 1) განსვენებულ მგოსნის პანაშვიდებს და დაკრძალვას გამგეობა დაესწროს მთელ თავისი შემადგენლობით; 2) ნაცვლად გვირგვინისა, გადიდვას 50 მან. სალიტერატურო ფონდის მისამატებლად; 3) დამკრძალავ კომიტეტს მიეცეს 300 მან. საზოგადოების მხრივ მგოსნის დამკრძალავ თანხისათვის; 4) საზოგადოების მხრივ გაიგზავნონ დამგრძალავ კომიტეტში წევრებად გამგეობის წევრები გ. ლასხიშვილი და გიორგი ცინცაძე და 5) დაევალოს გამგეობის წევრს ლუარსაბ ბოცვაძეს დაკრძალვის დღეს სიტყვა წარმოსთქვას მგოსნის კუბოსთან.

——

ვაჟას კუბოსთან. ვაჟას კუბო მორთულ-მოკაზმულია ცოცხალი ყვავილებით. საყვარელ პოეტის კუბოსთან მორიგედ იყვნენ: 28 ივლისს, ღამით, მუშებისა და სტუდენტ-ვაჟების წარმომადგენელნი; 29 ივლისს, დღით, მათივე წარმომადგენელნი; იმავე რიცხვს, ღამით, მუშების წარმომადგენელნი და 30 ივლისს, დილით, ისევ მუშების წარმომადგენელნი.

——

მუშების წარმომადგენელი. დამკრძალავ კომიტეტში წევრად მუშებმა თავიანთ წარმომადგენლად გაგზავნეს ივანე ბალიაშვილი.

——

ახალი მეხი თავს დაატყდა მრავალ ტანჯულ საქართველოს!

მშობელს ქვეყანას კვლავ ბოსტაცეს მისი ერთგული დარაჯი!

კეკლუცს სამშობლოს კვლავ მოჰგლიჯეს მედგარი ბურჯი!

ვაჟა გარდაიცვალა!

აი—ის გულშემზარავი სიტყვები, რომელნიც ისარივით გულში ხვდებიან, რკინის უღელს ქვეშ მუხლმოდრეკილს, ქართველს ბეჩავს ხალხს!

ვაჟა აღარა გვყავს!

აი—ის ფრაზა, რომელიც ცრემლთან ერთად სისხლს აფრთქვევინებს საქართველოს სევდიანს თვალებს.

დადუმდა ჩანგი!! ჩანგი მყივარი, ჩანგი ღვთიური, ჩანგი სპეტაკი დღეს აღარ მღერის!!

დასწყდა სიმები სიმართლისთვის მომხმობელი ბრძოლის ველისკენ!

გაჰფრინდა მუზა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში აცხნევებდა, ატკბობდა, აცინებდა, ატირებდა, ზრდიდა და წრთვნიდა ბედისაგან დაჩაგრულს ერს.

მოჰკვდა ის, ვინც თავისს სევდიანს ხმაში ცეცხლსაც აფრქვევდა; მაგრამ ამისთანანი განა კვდებიან? არა... ის არ მომკვდარა, არც მოკვდება, მინამ არსებობს საქართველო, ქართველი ერი. არ მომკვდარა, მაგრამ... აღარა გვყავს... გარდაიცვალა...

დიახ, გარდაიცვალა... აღარა გვყავს ჩვენი დიდებული მგოსანი, ღირსეული მასწავლებელი, ჩვენი სახსოვარი დარაჯი და ერის გულის მესაიდუმლე. მაშ ვიგლოვოთ, ვიტიროთ თავში ქვა ვიცეთ, საქართველოს შვილებო! ნუღარც თქვენ მღერით, მოჰიკჰიკე, ნაზო ფრინველნო! ნურც შენ ანათებ, მოციმციმე შუქურვარსკვლავო! ნუღარ ჩუხჩუხებ სარკესავით წმინდა ანკარავ! აკოკრებულო ვარდის ყვავილო! შენაც დასტოვე საამური, ნაზი სუნი და თვალწარმტაცი, ეშხიანი, ლაღი მშვენიერება! ერს აღარ ჰყავს თვისი ხატება და ყველაფერმა იცვალეთ ფერი! ხომ ხედავთ, როგორ ხარხარებს ქართველის სიკვდილის მონატრული, ბნელეთის მოციქული? ხომ გესმისთ ხმა დიმცინავი, ხმა გულ-შემზარავი, სულ შემხუთავი: „მე მოგაშორეთ თქვენი მშვენიერება, თქვენი დიდება, ბედნიერება. მე მოგაშორეთ დაწყლულებულს საქართველოს შიში მკურნალში ილია, აკაკი და ვერ გავსძეხი, ვერ შოვისვენე, ერთი დარაჯი ვინაიდან ქვეყნად რჩებოდა და ეს დიდებაც, ეს დევ-გმირიც, ეს სიამაყეც საქართველოსი ზე ავატანე, მაშ იგლოვეთ, ცრემლი ანთხიეთ, გარს შეიმოსეთ შავები, ძაძა“...

მაგრამ ზე-კაცი ვაჟა ხომ არ მომკვდარა? და არც ქართლოსის დიდ ჭირ-ნაცადი, ტურფა შვილნი იმტვრევენ თავ-პირს... ვაჟასთანები არ ჰკვდებიან, მხოლოდ სიცოცხლის ფორმებსა იცვლიან.

ტკბილად, მშვიდად განისვენე ჩვენო მშვენებავ!

საქართველო არ დაივიწყებს თვისს მთის მგალობელს, მთისა ბულბულს, მთების დიდებას. შორს აღარ არის ის დრო, როცა დაპრილი მედგარს ბრძოლაში, ფრთა მოტეხილი, გულდაკოდილი მთისა არწივი განიკურნება და გარშემო, ველს, მისი დიდების შემგინებელი, ყვავთა ბუმბული მოეფინება. მაშინ ხომ ჩვენი დიდ ჭირნახული, მრავალ-ტანჯული, მტრისგან ნაცემი საქართველოც გამოიღვიძებს და შეასრულებს შენს ნაანდერძევს, სასიქადულო მამულიშვილო!

ზეცით—კი ამ დროს შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა ხმა შეწყობილი განახლებულს ქვეყნის ჰორიზონტს ტკბილ მოსიმღერედ მოეფლინება.

ნიკო ჭამუშაძე.

სამგლოვიარო წერილები დადეკეშები.

ვგლოვობთ დიდებული მგოსნის ვაჟას დაკარგვას. ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ მთის ბულბულის გაცივებულს გვამს. თავზარი დაგვცა ვაჟას უდროოდ გარდაცვალებამ. ვიზიარებთ ქართველი ერის მწუხარებას და ჩვენ მოთქმა-გოდებას ვუერთებთ საერთო ზარის ხმას.

წრეგანდელმა წელმა, თუმცა ყოველ მხრივ გაგვტანჯა, მაგრამ მაინც

ვაჟა—ფშაველა.

სალიტერატურო შთაბეჭდილებანი.

(დასასრული).

*
* *

მაგრამ ვაჟა ხან თუ გოდებს, ხან ამაყათ სდგას ცად აჭიმულ მთების მწვერვალზე, ვით ამაყი და შეუპოვარი შავი არწივი, იმედითა და სასოებით გასცქერის მის წინ გადაჭიმულ ზღვასაებრ მობობოქრე ცხოვრებას და წარმტაც ფსალმუნით ეგებება სიცოცხლისა და ნეტარების მომნიჭებელ ცხოველ-მყოფელ მზეს... „ვაჟა სიცოცხლისა და ცხოვრების სიყვარულით აღსავსე მგოსანია“. (კიტა აბაშიძე)... მას უყვარს ცხოვრება, როგორც შვილს თავისი მშობელი დედა; უყვარს, მიუხედავათ იმისა, რომ მასში ბევრ უსამართლობას და გაუგებრობას პოულობს... ვაჟას დევიზია: „ყველას ისა სძლევს, სიცოცხლეს ვინაც არ აჯდებს ჩალადა“... მას სწამს ცხოვრება, როგორც მუდმივი მოძრაობა, განუწყვეტელი აქტიური შემოქმედება... ვაჟა ხედავს ადამიანის უზენაეს დანიშნულებას ამ უსაზღვრო ქვეყანაში—მისი (ადამიანის) ღვთიური ნიჭის გაშლაში, დაუცხრომელ აქტიურ შემოქმედებაში, მის მტკიცე და შეუდრეკელ ლტოლვაში ახალ „მშვენიერ ცხოვრებისაკენ“...

ვაჟა ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაში გმირებს დაეძებს თვით ცხოვრებისავე გასამშვენიერებლათ, ასაყვავებლათ და გასაბრწყინებლათ მისი მუზა მთლიან, სალი კლდესავით მაგარ ნების ყოფის პატრონ პიროვნებას უგალობს, მისი მზიური ფანტაზია ზე-კაცობისადმი მიილტვის... ვაჟას თამამათ შეუძლია ნორვეგიის ცნობილ მწერლის ჰენრიკო იბსენის სიტყვები გაიმეოროს:

„Я мечталъ людей создать
Новыхъ, цѣльныхъ и прекрасныхъ“. („ბრანდი“).

ზე-კაცობისადმი, ზესთა-ბუნებრივ ადამიანობისადმი შეუცნობელ ლტოლვას ვპოულობთ ჩვენ ნიკო ბარათაშვილის შემოქმედებაში... ვაჟას პოეზიაში კი მან თითქმის მწყობრი სისტემატიური ხასიათი მიიღო... ჩვენი უახლოესი ლიტერატურის ნიჭიერი წარმომადგენლები (ა. შანშიაშვილი, ს. აბაშელი და სხვ.) უშიშრათ და შეუდრეკლათ გაყვენ ვაჟას მიერ გატკეპნილ გზას...

ამგვარათ ვაჟა ინდივიდუალისტია, იგი პიროვნების გაღმერთებისაკენ მიილტვის, პიროვნების შინაგან გამოძახილ პიტივს ცემს და ქედს იხრის მის წინაშე...

„გაჩენის ნება მათ (მშობლებს)
ჰქონდათ,—ამბობს გოდერძი
„ეთერგი“.
გავჩნდი და მე ვარ მეობით,
წყურვილი სხვა მაქვს და გრძნობა
ეკუთვნისთ მხოლოდ ძეობით“...

მაგრამ ვაჟას ინდივიდუალიზმს არასოდეს არ მიუღია უკიდურესი ხასიათი... იგი სასტიკათ ეწინააღმდეგება ისეთ ეგოისტურ ინდივიდუალიზმს როგორიც არის მაგ. ინდივიდუალიზმი ფრ. ნიცშესი; სტ. პშიბიშევსკის და სხვების...

*
* *

ვინც ვაჟას შემოქმედებას ითვალისწინებს, ის გვერდს ვერ აუარს მისი პოეზიის ერთ უმშვენიერეს და მეტის-მეტათ თვალ-წარმტაც მოტივს, რომელიც მძლავრათ ამეტყველებს მის ბრძოლის წყურვილით გარეული ფანდურს... ვაჟას მუზა ერის სულს უგალობს; იგი ერის სულიერ აყვავებასა და გაშვენიერებას შესტრფის და შეღაღადებს; მისთვის იბრძვის, ვით გააფრთხებული ლომი...

ვაჟა, როგორც ჩვენი სხვა მრავალი მგოსნები, ღრმათ ჩასწვდა ერის სულის სიღრმეში და იქ დაგუბებული ლტოლვა და მისწრაფება თავის საბრძოლველ დროშაზე დაწერა... მისი შთამგონებელი მუზა ღრმათ ეზიარა ხალხის ტანჯვასა და მწუხარებას და იქ ჩამარხული მზიური მარგალიტები წარმტაც ფერადებით გადგვიშალა თვალწინ...

ვაჟამ მთელი თავისი მძლავრი მგოსნური ბუნებით განიცადა თავისი მშობელი ერის ბედი და უბედობა... უკუღმართი ისტორიის ჩარხის ტრიალმა სიკვდილის პირამდი მიიყვანა მისი მშობელი დედა; უხეშ საუკუნის უხეშმა ძალამ შავი ძაძებით შემოსა მისი პატარა სამშობლო,—საქართველო... ვაჟას წინაშე ამ სფეროში გადაიშალა ფართო მოედანი საბრძოლველად... მან შეისხა არწივისებური ფრთები და მედგრათ გადმოსძახა მტერს მაღალი მთიდან:

„ვერ მივსცემ მტერსა მამულსა
საჯიჯვნალ, დასაზიანად“-ო...

ანდა კიდევ:

„არ მივსცემთ მტერსა სამშობლოს,
გულში დავიცემთ დანასა,
არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის მამულის ღალასა“-ო...

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვაჟამ მეტის-მეტად საგულისხმიერო სიტყვები დააწერა თავის საბრძოლველ დროშაზე:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება“-ო...

ვაჟა ხან კვნესითა და ხან ოხვრით დასტირის საქართველოს „უბედობელს“, ხან კი მედგარი ყიჟინით უხმობს მშობელი ერის შორეულ განთიადს...

ასეთია ვაჟას შემოქმედება...

ამიტომ გვიყვარს ჩვენ ვაჟა სხვებთან ერთად; ამიტომ მოგვწონს მისი ფანდურის ქარიშხლის ხმასავით ზარიანი გამოძახილი...

სამ. ნარდიოანი.

ომედი გვაქვს, რომ საქართველო „изъ пепла возстанетъ неизмѣнною“. **იპოლიტე ქომუშ ძე. და თამარ ქომუშაძის ასული ალარ გვყავს ვაჟა!**

დღეს მთელი საქართველო სტერრის და გოდებს უძვირფასესი მგოსნის ვაჟას გარდაცვალების გამო. მისი სიკვდილი უდროო იყო. დიახ უწყალო სიკვდილი არ ინდობს საუკეთესო შვილს ქვეყნისას და ობლებს ყოველ მხრივ ჩვენს ბედშავს საქართველოს; და ჭირზე ჭირს უმატებს.

ვაჟას უდროოთ გარდაცვალება გლოვის ზარივით მოედო მთელს საქართველოს.

ალარა გვყავს ვაჟა,—მთის არწივი! მისი ჩანგის სიმები შავმა სიკვდილმა მოულოდნელად დასწყვიტა და დაადუმა ბაგენი მისი, რომელიდანაც ვითა ანკარა წყარო უცდაებისა, გადმოჰქუხდა მარგალიტები პოეზიისაა.

ვიტიროთ ქართველო ერო სასიქადულო მგოსნის-ვაჟას გარდაცვალება.

იგლოვეთ თქვენც, ფშავნო და ხევსურნო, იგლოვეთ თქვენი ღვიძლი შვილი, თქვენი საუნჯე! ვინაიდან ალარ გაყავს ვაჟა-სულმნათი, ვაჟა დიდება ქართველ ერისა.

ვასილ ფერაძე.

მთის ამონაკვნესი.

(დიდი ვაჟას ხსოვნას)

ლაჟვარდი ცის კამარაში დადი არწივი ამაუად დასრიალობდა და სამყაროთგან თავ თეთრა შეინვარს ალმასის თვალებით დასტქეროდა.

მეინვარი ხომ მისი აკვანია და კვარს ცხლბეკი!

თვითონაც ხომ მეინვარის შიკრიკია!

მთის ქაფიანი ნაკადები ბრძოლის არტახებად ამოეუვროდა უცხო აკვანს, ცელქი ნატარა დრუბლები ლეჩაქივით გადაფარებოდა, მზის მოფარაუებული სხივები ბეთლემის მოგვებივით შემოხვეოდენ და ძვირფასს საჩუქარს სძღვნიდნენ... რაღაცას ეძებდენ...

„მად აღარაგარ, არა!..“

ჩამოისმა სამყაროთგან უცნაური ხმა.

მოგვებმა ყურები სტქვიტეს, მარა ვერა გაიგეს რა.

— ელოდეთ! ელოდეთ!.. ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნარისა!

იყო ისევ ხმა ცისკიდით. სხივები გაცვიფრებული იდგენ!..

— ვისი უნდა იყოს ეს ხმა? შეეკითხენ ისინი აკვანზე გადაკრულ დრუბლებს.

დრუბლები ეშმაკურად იღიმებოდენ და სხივების შეკითხვაზე მხოლოდ დიმილით უპასუხებდენ.

ხმა კიდევ უფრო ძლრით გამოისმა, უფრო სუსტი, მთის ნიავში გაფანტილი სხივები შეშფოთდენ.

— მიდის, თუ მოდის!

ვინ უნდა იყოს!

კითხულობდენ, მარა პასუხი არსაით!

სამყარო დაცარიელდა. შიშით მიმალულ ჯიხვებს, ქურციკებს, შველებს, ნეკრებს, ბაჭიებს, შურთხებს სოროდგან თავი წამოეყოთ და ლაჟვარდ ცაზე სიფრთხილით რადაცას ათვალიერებდენ.

— წასულა!.. წასულა!..

იძახოდენ და ფეხაკრეფით მთის კალთებზე ეფინებოდენ.

მოანი?!

იდგენ და ელოდენ! ელოდენ და იდგენ!

— ვის ელით, მთებო?

მოისმა ბარით ხმა.

შვილი ხომ არ დაჭკარგეთ?

— გეშმმ!..

მოისმა მთების ამონაკვნესი და ქვეყანა შეიძრა!..

— მოებო! მთებო! რატომ ხართ ამ წუთს აგრე საბრალონი!

იყო ისევ ხმა.

— ის დრო ხომ არ გერჩიათ, როცა ალადი არწივი თქვენ მუხლებზე ფანდურს უკრავდა და საგალობელს გიგალობდა!

— გეშმმ!..

დაიკვნესა ისევ მთებმა და მთლად გული ამოიტანა!

— თქვენი შვილი!.. ალადი შვილი!.. შეუბოვარი!.. ამაუი...

— გეშმმ!.. დაიკვნესა ისევ მთებმა, ტრემლის ნაკადი გადმოუშვეს და ბარს ქვა და ლოდი მიაყარეს..

მიუწოომელო განგებავ!..
უცნაურო ბუნებავ!..
გულქვაგო ანსო!..
მიწიერო სასოებავ!..
სულის ჯოჯოხეთო!..
ძორის მაიმუნობავ!..
თვალმაქცო სიცოცხლე!..
საიდუმლო სიკვდილო!..
რა ხართ!.. რას სჩადიხართ!.. რას ოხუნჯობთ!.. რას დაგვცინით აგრე უწყალოდ!..
სად გაგიქრათ სიბრალული!..
მხოლოთ მთანი დინჯობენ!..
სდუმან!. სდგანან!.. ელიან!.. მზის სხივებიც მათი აეოლით აკვანს ჩაციმციმებენ და აგრეთვე ელიან!..

„ერთი წავა და სხვა მოვა“-ო!
მაშ ვეღოდეთ?!.
ნუ თუ!..
ალბად!..
დიად, მოვა .. მოვა!..

უფალო! შენც ხომ „სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჭბადავ ცხოვრებას“!..

მ. კელენჯერიძე.

ახალი ამგავი.

ქუთაისი.

დღეისთვის გამოცხადებული პანაშვიდი ვაჟას სულის მოსახსენებლათ, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, რომელიც უნდა გადაეხადათ ქუთაისში მყოფ თბილისის სემინარიის მოწაფეებს, გადახდილი იქნება კვირას, 2 აგვისტოს, არქიეელის გორაზე წმ. გიორგის ეკლესიაში.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მეორე რაიონის ინსპექტორი ბ. კირეევი დაინიშნა მარიუპოლის სამასწავლებლო სემინარიის დირეკტორათ.

✦ წყალგალმა ნაწილში „ღულაძისეულ“ მინდორზე იხსნება სამკითხველო. სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტს განზრახვა აქვს ეს სამკითხველო გაიხსნა, განსვენებული მგოსნის ვაჟ-ფშაველას სახელობაზე.

✦ ხუთშაბათს, 6 ივლისს, ქალაქის თეატრში მოხდება მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ კრება. კრებაზე განსახილველია შემდეგი საკითხები:—1) გამგეობის მოხსენება დამაარსებლებისაგან ანგარიშების ჩაბარების შესახებ: 2) მოხსენება გამგეობისა თავის მოქმედების შესახებ და 3) ზომების მიღება წევრების გამრავლებისათვის და სხ.

✦ 21 ივლისიდან კლასიკური გიმნაზიის დარბაზში ბ. მიხ. შარაშიძის ხელმძღვანელობით გამართულია კონსვერვების კურსები. ეს კურსები გუშინ დასრულდა, კურსებზე სულ დაიარებოდა 30 ქალი და კაცი მასწავლებელი. კურსებზე დაუმზადებიათ დიდძალი ხილეულობა და სხვა და სხვა საჭმელი. გუშინ კურსების ხელმძღვანელმა კერძო პირებს უჩვენა სხვა და სხვა საჭმლის ნიმუშები, რომელიც საუცხოვო აღმოჩნდა. ამ დღეებში მოახდენენ გამოფენა.

✦ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ქართველი ებრაელი ბენიამინ ფილხაზის ძე ციციაშვილი და შემდეგი განაცხადა:

შაბათს, 25 ივლისს, მას სადღაც გაპარვია 12 წლის შვილი აბრამი. ბავში გამოწყობილია გიმნაზიელის ფორმაში. აცვია თეთრი პარუსინის ბლუზა და ნაცრის ფერი შარვალი, ახურავს კლასიკური გიმნაზიის საზამთრო ქუდი. მპოვნელს სთხოვს შეატყობინოს მას პოლიციის ქუჩაზე საკუთარ სახლში № 5.

✦ ქუთ. ქალაქის გამგეობამ „მთის არწივის“—ვაჟა ფშაველას გარდაცვალების გამო შემდეგი დაადგინა: გადასდვას 100 მ. რომლიდანაც 50 მანეთი დაიხარჯოს დასაკრძალავათ, ხოლო 50 მ., ფონდის გასაძლიერებლათ; დაერქვას ერთ ერთ ქუჩას და მომავალ პირველ დაწყებით ქართულ სკოლას, რომელიც გახსნილი იქნება ახალი კანონის ძალით, ვაჟას სახელი; გადაიხადონ პანაშვიდი ქუთ. საკრებულო ტაძარში კვირას, 2 აგვისტოს, რომელზეც დაესწრებიან ქალაქის გამგეობა და ხმოსნები.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ოსმალეთის ასპარეზი.

თბილისი. 29 ივლისი. კავკასიის ლაშქრის შტაბისაგან. 27 ივლისს ბრძოლა გრძელდებოდა. ოლთისის მიმართულების ერთ-ერთ ნაწილში ოთხი ბატარეის ცეცხლის მფრქვეველობით მდინარის ხეობაში დაიწყო მოგროვება ოსმალეთის ხუთმა როტამ, მაგრამ ჩვენმა ბატარეიამ გააჩუმა ოსმალთა არტილერია და ოსმალთა ქვეითა ჯარი ამოიღო მიზანში. ხოლო როდესაც ბრძოლაში ჩაერია ჩვენი მსროლელთა ერთი როტა, ოსმალნი აირივნენ და გაიქცნენ. მათთვის გზის გადასაჭრელად გაიგზავნა თხუთმეტი მსროლელისაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი უნტერაფიცერის ფუდოდის წინამძღოლობით. ეს რაზმი ხიშტებით შეეგება ამ კაცისაგან შემდგარ ოსმალთა რაზმს, დახოცა 31 და ტყვეთ წამოიყვანა 28 ასკერი, რომელთა შორისაც ორი უნტერაფიცერია. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ოსმალთა ნაწილობრივი შემოტევის ცდა ოლთისის მიმართულებით და პასიეის ხეობაში ყველგან მოგერებულ იქმნა. მარკემირის ულელტეხილის დაჭერის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ოსმალთა 3 ტყვიის მფრქვეელი და ტყვეები, რომელთა რიცხვიც ირკვევა. ტყვეებს შორის ორი პოლკის უფროსია. ეფრატის მიმართულებით ოსმალთა დევნა გრძელდება; უკანასკნელ დღეებში ერთმა ჩვენმა კოლონამ ტყვეთ წამოიყვანა 19 აფიცერი ⁄ 1172 ასკერი. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 200 ფურგონი, მათ რიცხვში პროკსილინით და შანტის ინსტრუმენტებით დატვირთულები. ხელთ ვიგდეთ იარაღი, პატრონები და კარავები. სოფლებში უკუქცეულმა მტერმა მრავალი დაჭრილი ასკერი დასტოვა. გზაზე ჩვენი მხედრობა პოულობს საარტილერიო პატრონების გროვებს. ოსმალები შეეცადნენ სოფელ ხარჩამვეკთან ეფრატის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა.

ალმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 29 ივლისი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. რიგას იქით შარა-გზაზე, 27 ივლისს, რუსებმა მოიგერეს გერმანელების იერიში, რომელიც მიმართული იყო მდ. ეკუას წინააღმდეგ. იაკობშტადტიდან გამომავალ შარა გზაზე რუსებმა უკუაგდეს გერმანელები შენბერგის რაიონიდან. ხოლო დვინსკიდან პონევეჟისაკენ რუსები ძალიან ავიწროვებენ გერმანელებს. ადგილ-ადგილ პირდაპირ ხიშტებით ჰკუწავენ გერმანელებს, რომელთაც არას გზით არ სურთ ადგილის დატოვება. 27 ივლისს ღამე გერმანელებმა იერიში მიიტანეს კოვნოს დასავლეთ სიმაგრეებზე, მეორე დღეს იერიშები განაახლეს. გარიზონმა კონტრ-იერიში მიიტანა და გერმანელთა სამი ბატალიონი თითქმის სულ ერთიანად გაანადგურა, ხელთ იგდეს ასამდი ტყვე და ტყვიის მფრქვეველები. იმ მიმართულებით, რომლებიც ოსტროლენკოდან, როჟანიდან და პულტუსკიდან მოდის, გერმანელები განაგრძობენ მედგარ შემოტევას. მიუხედავათ ზარალისა და განუწყვეტელი ბრძოლებისა, რუსის ჯარი მთელ ფრონტის სიგანეზე, ნარევიდან ბუჯამდი, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს გერმანელებს. ნოვოგიორგიევსკისთან რუსებმა შეაჩერეს გერმანელები, რომელთაც იერიშები მოიტანეს ნოვოგიორგიევსკის სამხრეთ სიმაგრეებზე. მოდარაჯე ნაწილებს შეტაკება მოსდის შუა ვისლიდან რომ გამოდის შარა გზაზე. რუსები იგერიებდენ იმ იერიშებს, რომლებიც გერმანელებს მოქონდათ ვეპრეიდან ხოლმისკენ მიმავალ გზებზე. რუსებმა უკუაგდეს ხოლმიდან იერიშით მომავალი გერმანელთა ჯარი. ... ...

იპირა გოლის დასავლეთი ნაწილი. ფრანგთა მფრინავებმა ყუმბარები ჩაგდეს სვეიბრუკელში და სანკტ-ინგბერტში. რაოდენიმე კაცი მოკლეს და დასჭრეს.

ვენიდან იტყობინებიან, რომ დივიზიის სასამართლომ გაარჩია საქმე აუფენბერგისა, რომელსაც ბრალათ ედება სამხედრო საიდუმლობის გამჟღავნება 1912 წ. პოლკოვნიკ შვარცთან ფულის მიღებით. მიცემული ცნობა ეხება კერძო მობილიზაციის მშვიდობიან ჯარის გასადიდებლათ. აუფენბერგი გაამართლეს.

შვეიცის საერთო ვაჭრობათა კავშირის წლიურ კრებაზე თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიუხედავათ ყოველი ეხრის მძიმე მდგომარეობისა ერთი წლის ომის გამო შვეიცის ვაჭრული ცხოვრება, თუმცა არ ჩამქრალა, მაგრამ ძლიერ შეირყა წყალქვეშა ნავების და სხვა მრავალ მიზეზთა გამო.

მომავალში იმედი უნდა ვიქონიოთ შვეიცის ვაჭრობის განვითარებისა, რადგან შვედელი ვაჭრები ლოიალურათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და მთავრობას კი ნათლათ ესმის მდგომარეობის სერიოზული პროობები და დარწმუნებულია, რომ დაიცავს ქვეყნის პატიჟ ღირსებას და სანამ მთავრობა სიფრთხილით თვალს ადევნებს გარემოებას და ცდილობს რომ უზრუნველ-ყოს ქვეყანა სანოვაგით დაიღწვის მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის, იმედს გვაძლევს დავძლიოთ თავ მოყრილი გაჭირვება.

ბედნიერებაა, რომ შვეიცამ განაცხადა მტკიცე ნეიტრალიტეტის დაცვა, თუმცა მომავალი არ ვიცით რას გვიქადის მაგრამ, თუ განსაცდელი მოგველის ჩვენ მას ვაჟკაცურათ დავუხდებით მეფისა და სამშობლოს საიდიებლათ.

პეტროგრადი. 29 ივლ. სკუპჩინის გახსნამდე მთავრობა გააცნობს დეპუტატებს პოლიტიკურ პარტიათა კლუბებში იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნა მეოთხე წოდების გამოსვლამ

კოპენჰაგენი. 29 ივლ. გერმანიის წყალ-ქვეშა ნავმა დანიის წყლებში დილით დროგდენის ჩრდილოეთით შეაჩერა გემები „ტელუსი“, რომელიც მიდიოდა სტოკჰოლმიდან და „მოლსტადი“ ქრისტიანიიდან. საღამოს ორთავემ ბრძანება მიიღეს წამოსულიყვნენ სამხრეთის გზით გერმანელი იანქნიანი ნავის თანხლებით.

სოლუნი. 28 ივლ. ფრანგის სამხედრო გემმა ყუმბარები დაუშინა და უმავთულო ტელეგრაფი დაანგრია სკალანოვში.

პეტროგრადი. სახელმწიფო საბჭომ კულომზინის თავმჯდომარეობით აირჩია 30-თი კაცისაგან შემდგარი კომისია განსაკუთრებული თათბირის კანონპროექტის განსახილველათ სახელმწიფოს მოგერებისთვის მიღებულ ზომების შესაერთებლათ.

სიჩქარისა გამო სახელ. სათათბიროში შესატანი კანონპროექტის განხილვა შესახებ შემოსავლის კვალობაზე ბაჟის გადახდისა და ეგზისიურ უფლებისა გადაიდვა ფინანსიურ კომისიის განსახილველათ.

სოფია. 29 ივლისი. როდოსლავოვემ მიიღო გერმანიის და ავსტრიის ელჩები, რომლებიც შემდეგ ეფემ ფერდინანდმა მიიწვია.

ცეტინიე. 27 ივლისი. ომის წლის თავზე ჩერნოგორიის პრესსა აცხადებს, რომ ცენტრალურ ევროპას არასოდეს არ ეღირსება გამარჯვება. ჩერნოგორია დარწმუნებულია, მიუხედავათ პრემიშლის, ლვოვის და ვარშავის ევაკუაციისა გერმანიისა და ავსტრიის ბედი გადაწყვეტილია და ახლა საათი სამართლის და თავისუფლების გამარჯვებისა.

ბრეტორია. 29 ივლისი. აჯანყებულ ბურების ბელადი პოლკოვნიკი მარიცი თავის თანამოაზრებთან ერთათ პორტუგალიის მთავრობამ დაატყვევა.

ვაშინგტონი. 29 ივლისი. შეერთებულ შტატების მთავრობამ გაგზავნა ვენაში პასუხი, რომელიც უარსა ჰყოფს ავსტრიელების განცხადებას, თითქო ომის საჭურველის გაგზავნა ოთხთა შეთანხმების სახელწოფოებისათვის ნეიტრალიტეტის დარღვევას მოასწავებდეს.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 29 ივლ. დღის ოფიციალური ცნობა. - არტუასთან გაცხარებული საარტილერიო სროლაა. მთელი ღამის განმავლობაში სუშეს გარშემო გერმანელები შეეცადენ შემოტევას, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარა. არგონებში მტერი გაძლიერებულათ უშენდა ჩვენს პოზიციებს. დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

ცეცხლის გაჩენა.

პეტროგრადი. 29 ივლ. სამის ნახევარ საათზე პეტროგრად ფინლიანდიის რკინის გზის საქონლის სადგურზე დიდი ცეცხლი გაჩნდა, დაიწვა 50—80 საქონლით დატვირთული ვაგონი. ზარალი 2-3 მილიონ მანეთამდეა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. სწარმოებს გამოძიება.

აჯანყება ჯარში.

ბუქარესტი. 29 ივლ. ადრიანოპოლიდან ცნობაა, იმ ჯარში, რომელიც გამზადებული იყო დარდანელში წასასვლელათ, აჯანყება მოხდაო. დისციპლინის დარღვევი აფიცრები დაატუსაღეს და სამხედრო სასამართლოს გადასცეს. საქმის გამოსაძიებლათ თვით ენვერფაშა მოვიდა.

პეტროგრადი. 24 ივლ. ჯანმთელობის კომისიამ განიხილა სიძვირის დემედიკამენტების საკითხი. კომისიამ საჭიროთ სცნო დაარსდეს მთავარ საექიმო ინსპექტორთან განსაკუთრებული თათბირი.

სტოკჰოლმი. 29 ივლ. „ბერლინერ ტაგებლატში“ წერილია მოთავსებული წყლქვეშა ნავების შესახებ. ავტორი ამბობს, რომ ნავებმა იმედები ვერ გაამართლეს, რადგან ყოველ დღეურათ ერთი-მეორეზე მხოლოთ $1^1/_2$ გემი იღუპება. და ყოველ კვირეულათ 1500 ინგლისის გემის დასაღუპავათ მრავალი წყალქვეშა ნავია საჭირო. წარსული წლის მაისში გერმანიას მხოლოთ 28 წყალქვეშა ნავი. მართალია პატარა ნავების აშენება ადვილია, მაგრამ ოკიანის გემებთან საბრძოლველათ საჭიროა დიდი, არა ნაკლები 1000 ტონიანი, წყალქვეშა ნავი. დასასრულ პერსიუსი ამბობს, რომ ინგლისის ფლოტი საკმაოთ უზრუნველყოფილია გერმანელთა წყალქვეშა ნავების თავდასხმისაგან, გერმანიის წყალქვეშა ნავი ვერც ერთ ინგლისის სამხედრო გემს ვერ ჩასძირავს და, საზოგადოთ, ჩაძირვა არც ისე ადვილი საქმეაო.

პეტროგრადი. 30 ივლ. მთავარ სარდლის შტაბისაგან. ხუთშაბათს, 29 ივლ. რიგის რაიონში ჩვენი მოწინავე ნაწილების წინააღმდეგ გერმანელებმა სცადეს იერიშის მოტანა. იერიში მოვიგერიეთ. იაკობშტადტის და ლვინის მიმართულებით ჩვენი ჯარი 28-სა და 29 ივლ. წინ იწევდა. ვილკომირის ჩრდილო რაიონში ჩვენ ბრძოლის შემდეგ დავიკავეთ კოვარეკი და ტოვიანი. კოვნის ფრონტის ალყა ნემანიდან ესიამდი გრძელდება. იერიშებს ვიგერებთ. მტერმა მიზანს მიაღწია მხოლოთ სოფ. გოდლევოსთან. სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ნარევკა და ბურგს შუა გერმანელები შეტევას განაგრძობენ. განსაკუთრებით მედგრათ უტევენ ღამჟასკიალოვის გზაზე და კოსევთან ჩიქოვის სამხრეთით რკინისგზის ორივე ეხრით ჩვენი ჯარი შეტევის გზას დაადგა. შუა ვისლაზე ცვლილება არ მომხდარა. ვეპრჟა და ბურგს შუა 29 ივლ. მტერმა მედგარი იერიში მოიტანა პარჩევის მიმართულებით და ხოლმიდან-ვლოდაუში მიმავალი გზით. ყველა იერიში მოვიგერეთ და მტერი მეტათ დავაზარალეთ. მტრის ზარალი დიდია, განსაკუთრებით ოსტროვოს აღმოსავლეთით, აქ ჩვენი პოზიციების წინ გერმანელთა ხროვა ყრია. დნესტრზე, მდ. სტრიცის შესართავთან მტრის ცდამ უშედეგოთ ჩაიარა. 28 ივლ. მტრის ფლოტმა სროლა დაუწყო მაიაკებს რიგის ყურეში და ოლანდის ჩქერებში ჩვენი გემებიდან სროლის შემდეგ მტრის ფლოტი მალე უკან გაბრუნდა.

პარიზი. 28 ივლისი. პუანკარე შაბათს გავიდა პარიზიდან და ღღეს, დილით, ბელფორიდან ვოგეზისაკენ გაემგზავრა ჯარის სანახავათ, გზაზე მცხოვრებნი მას დიდი აღტაცებით შეხვდენ.

პეტროგრადი. 28 ივლისი. სახელ. სათათბიროში კრება დასრულდა. საჩქაროთ მიღებული იქმნა კანონპროექტი 1915 წ. ჯარში ახლათ გაწვეულთა რაოდენობის გასადიდებლათ.

პარიზი. 28 ივლისი. სენატმა დამტკიცა სამხედრო მინისტრის დამატებითი კრედიტის მოთხოვნა.

სამარა. 27 ივლისი. აურეული გამოქცეული ჩამოვიდა. დროებითი დახმარება გუბერნატორმა აღმოუჩინა კათოლიკეთა მრევლის შემწეობით ტატიანას კომიტეტის ხარჯით. ერთი კვირის განმავლობაში სამარიდან გაემგზავრა პიტრგამსკის ოლქში 20,000 რუსის ქვეშევრდომი გერმანელი, რომელთაც ტატიანას კომიტეტმა სანოვაგით დახმარება აღმოუჩინა.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი. 28 ივლისი. სადგურ სუშეს ჩრდილოეთით არტუაში გერმანელებმა ღმით ორი იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუ ვაქციეთ თავის პოზიციებისკენ. არგონში საარტილერიო ბრძოლაა. ვოკუაში ყუმბარებით ბრძოლა მოხდა. საღამოს 8 საათზე მტერმა ჩვენს თხრილებს სასტიკი სროლა აუტეხა. ჩვენმა არტილერიამ მათი იერიში შეაჩერა.

ვოგეზებში ღამემ წყნარათ ჩაიარა.

გემის ჩაძირვა.

კოპენჰაგენი. 28 ივლ. გემ „იასონ“-ის კაპიტანი სვენბორგიდან იტყობინება, რომ ორშაბათს პკორნსრიფის ახლოს იდგა მისი გემი. კამანდა ამ დროს ბორტში იყო. მალე აფეთქდა მატორი, რომელიც ნაღმოს წააწყდა. შესაძლებელია, რომ იგი ააფეთქა ინგლისის წყალქვეშა ნავისაგან ნასროლმა ნაღმა, მეზღვაურები გადაარჩინა შვეიცის სათევზაო გემმა, რომელმაც გადასხა იგი საკონონერო ნავ „იასალონ“-ზე. მეზღვაურები ბიერგში გადმოიყვანეს.

პეტროგრადი. 28 ივლისი. სახელმწ. სათათბიროში სხდომა დაიწყო ნაშუადღევის 12 საათზე. იმ კანონპროექტის გასარჩევათ, რომელიც შეეხება ახლათ გაყვანილ ჯარისკაცთა რიცხვის სიდიადეს. ღღეს სახ. სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო ცარსკოე-სელოში გაემგზავრა. იგი მიღებულ იყო ხელმწიფე იმპერატორისაგან. მიღება 55 წუთს გაგრძელდა, რომელსაც უმაღლესი მოწყალე ხასიათი ჰქონდა სათათბიროს თავმჯდომარემ მის უდიდებულესობას დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შესახებ.

სასამართლოს ქრონიკა.

გიმნაზიელი ჯანელიძის მოკვლის საქმე.

28 ივლიის კავკასიის სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ბ. ბ. ქუთათელაძის, მეავანაძის, ღულაძის, ილარიონ და ვლადიმერ მესხებისა. აღნიშნულ პირთ ბრალდებოდათ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შეგირდის ჯანელიძის გატაცება ქალაქ ქუთაისში და მისი მოკვლა, მშობლებისაგან სასყიდლის მიუღებლობის გამო. ამ საზიზღარმა ბოროტ-მოქმედებამ როგორც მკითხველს ეხსომება, თავის დროზედ დიდი მღელვარება და აღშფოთება გამოიწვია, როგორც ქუთაისისა ისე მთელს ქართველს საზოგადოებაში.

ბრალდებულმა ქუთათელაძემ, მეავანაძემ და ვლადიმერ მესხმა თავი დამნაშავედ იცნეს, მხოლოდ გატაცებაში და არა მკვლელობაში. დავით ღულაძემ და ილიანე მესხმა თავი უდანაშაულოდ აღიარეს. ბ-ნ ღულაძეს იცავდნენ ნაფიცი ვექილის თანაშემწენი: ბ-ნი შალვა მესხიშვილი და ბ-ნი გ. გიორგაძე. მეავანაძეს—ნაფიცი ვექილი ესსენი. დანარჩენებს მთავრობისაგან დანიშნული ვექილი ბ-ნი აბულაძე. სამოქალაქო მომჩივანის ინტერესებს იცავდა ბ-ნი დიმიტრი დგებუაძე. ბ-ნი დგებუაძე მოითხოვდა ოცი ათას მანეთს მოკლული ბავშვის მამის სასარგებლოდ. მეავანაძის დაკითხვის შემდეგ საქმე გადადებულ იქმნა მეორე დღისთვის.

29 ივლისს შეკამათება გაიმართა პროკურორისა და ვექილებს შორის. კამათის შემდეგ სასამართლო გავიდა სათათბიროოთახში. სადაც დაჰყო მთელი სამი საათი. საღამოს შვიდ საათზე კვლავ შებრუნდა სხდომათა დარბაზში და განაჩენი გამოცხადდა. ბრალდებულნი ქუთათელაძე, მეავანაძე და ვლადიმერ მესხი სასამართლომ დამნაშავეთ იცნო არა მკვლელობაში, არამედ მხოლოდ ბავშვის გატაცებაში და თითოს თორმეტი წლის კატორღა მიუსაჯა ყოველისავე ღირსების ახდით. მეავანაძეს კატორღა შეუცვალეს ექვსის წლის ციხით, მცირე წლოვანობის გამო. ილარიონ მესხი დამნაშავეთ იქნა ცნომილი ბავშვისა და ბრალდებულთა დამალვაში, რისთვისაც 8 წლის კატორღა მიუსაჯეს, აგრეთვე ყოველივე ღირსების ახდით. დავით ღულაძე უდანაშაულოდ იცნეს და გაამართლეს. სასამართლომ 20,000 მანეთზე უარი უთხრა სამოქალაქო მომჩივანს. ბავშვის მკვლელობა ასეთ გარემოებაში მომხდარა: გამტაცებელნი რომ თავის შველას შესდგომიან, ბოქაულები დარაჯებითურთ კვალ და კვალ გამოსდგომიან და თოფები დაუხლიათ. ამათი თოფის სროლა და ბავშვის სასიკვდილო ყიჟინა ერთი ყოფილა. სასამართლომ გამოარკვია რომ ბავშვი გამტაცებელთა ტყვიით არ მომკვდარა. ამის შემდეგ ცხადია, თუ ვისი ხელის მსხვერპლი უნდა ყოფილიყო იგი. „საქ.“

ღია წერილი

ბ. დ. ოცხელს.

თქვენ, ბ. დ. ოცხელო—„სახალხო ფურცელში“ დაბეჭდეთ და მერე საცენზურო წესდების 114 სტ. ძალით გაზეთ „სამშობლოშიაც“ მოათავსეთ წერილი, რომელშიც ამტკიცებდით, რომ „გაზეთი „იმერეთის“ მიერ თქვენგან აღებული ვალი იგივე ჩემი და გაზეთ „სამშობლოს“ ვალი არის. ეს ცილის წამება იყო და მე მაშინვე გიპასუხეთ, რომ გაზეთ „სამშობლოს“ და მე აღარაფერი არაგვაქვს საერთო გაზეთ „იმერეთთან“ და ვალი უნდა მოჰკითხოდა იმ კოლეგიას, რომელიც განაგებდა გაზეთ „იმერეთს“. რადგანაც ეხლა გამომცემლობა განაახლეს, გაზეთი „იმერეთი“ და რედაქცია ამ გაზეთისა თითონ აცხადებს—მე გაგრძელება ვარ ძველი გაზეთ „იმერეთისა“-ი (იხ. მეთაური ამ გაზეთისა 21 მომერში) და თვით საქმითაც მტკიცდება ეს გარემოება, რადგანაც ოც ნომერზე შეწყვეტილი გაზეთი „იმერეთი“ მისმა გამომცემლებმა ოცდა ერთ ნომრის თარიღით განაახლეს, მოვითხოვ თქვენგან პრესის საშუალებით აღიაროთ თქვენი შეცდომა, მომხსნათ ცილის წამება და ჩემზედ განზრახ და ყალბათ მოწერილი ვალი თავის ნამდვილი პატრონებს მოკითხოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები სასამართლოს მივმართო და პასუხის გებაში მიგცეთ ცილისწამებისთვის. ვადათ გაძლევთ ერთ კვირას.

ვსთხოვ „სახალხო ფურცელს“, რომელმაც დაბეჭდა ბ. დ. ოცხელის წერილი, ჩემი ეს განმარტებაც გადაბეჭდოს.

ი. ცინცაძე.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე

ნებადართულია სამხედრო ცენზორისისაგან.